მოსკოვი, 23 **აპრილი.** **ნიჟნი-ნოვგოროდის** **რადიო-ლაბორატორიამ** **კომინტერნის** **სახელობის** **რადიოსადგურიდან** **მოახდინა** **ცდები** **რადიო-** **გადაცემისა** **ახალი** **სისტემით—მოკლე** **ტალღებათ** **ბონჩბრუევიჩის** **სისტემის** **ერთი** **მძლავრი** **ლამპის** **დახმარებით.**

გუშინ **მიღებული** **იქნა** **ცნობა,** **რომ** **ეს** **გადაცემა** **ამერიკაში** **მიღებული** **იქნა** **განსაკუთრებული** **სიძლიერით.** **მიმღები** **სადგური** **კუნძულ** **პორტა-რიკოზე** (**მექსიკის** **ყურეში**) **იტყობინება,** **რომ** **ჩვენმა** **გადაცემამ** **გააყრუა** **ჩრთიოლოეთ** **ამერიკის** **და** **თორეულნი** **არიან** **საბჭოთა** **წყობილების** **მუშაობაში.**

80 **მილიონი** **გლეხობისა** **უფრო** **ნაკლებათ** **არის** **ჩაბმული** **მუშაობაში,** **მაგრამ** **აქ** **საჭიროა** **გვახსოვდეს,** **რომ** **არსებული** **წესწყობილება** **ჩამოყალიბდა** **სულ** **სამი** **წლის** **წინად,** **როდესაც** **შეცვლილ** **იქნა** **სამხედრო** **კომუნიზმი.**

ეხლა **ყველა** **აღიარებს,** **რომ** **გლეხობის** **ამუშავება,** **მისი** **აღზრდა** **და** **დაახლოება** **ძალიან** **ადვილია,** **თუ** **მიეცა** **მას** **ფართე** **წარმომადგენლობის** **უფლება** **მთავრობის** **ორგანოებში** **და** **მიეჩვია** **ადგილობრივ** **თვითმართველობას.**

საბჭოთა **წყობილების** **ძირითადი** **მიზანი** **არის** **შექმნა** **ისეთი** **სახელმწიფოსი** **და** **საზოგადოების** **რომელიც** **საჭიროა** **და** **სასარგებლო** **მუშებისათვის** (**მუშებათ** **იგულისხმება** **ყველა** **ფიზიკური** **და** **გონებრივი** **მომუშავე**).

მუშას **სამუშაო** **ხელფასი** **ეძლევა** **იმის** **მიხედვით,** **თუ** **როგორ** **სამუშაოვარს** **ასრულებს** **იგი.** **სამუშაოვრის** **ხელფასის** **ამ** **მინიმუმმა** **უნდა** **დაფაროს** **მისი** **ყველა** **აუცილებელი** **მოთხოვნილება.** **საზოგადოებრივი** **გარეთობა,** **მოგზაურობა,** **ყოველწლიური** **შვებულება,** **საექიმო** **ხარჯები,** **სოციალური** **უზრუნველყოფა** **და** **საბინაო** **ხარჯები** **ქმაყოფილდება** **უმთავრესად** **სახელმწიფოს** **შემწეობით.**

რაც **შეეხება** **გლეხს,** **ან** **სოფლის** **მუშას,** **მისი** **სახნავ-სათესი** **მიწა** **და** **სახლი** **წარმოადგენს

საბჭოთა-ეკონომიური ბიბლიოთეკა
კომალეტი

ფინანსიური დახმარება ა ი კავ. კოოპერაციას

მოსკოვი, 24 აპრილი. ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის უფამდგომლობის გამო შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა მისცეს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ამიერ-კავკასიის კოოპერაციისათვის 600,000 მანეთი 5 მილიონი ფონდიდან, რომელიც დანიშნულია 1924 | 25 წლის მეორე ნახევარში კოოპერაციის ფინანსიური დახმარებისათვის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებათა ყრილობა

მოსკოვი, 24 აპრილი. 20 მაისისათვის მოწვეულია სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებათა ყრილობა

აეროპლანთა ტარების მეორე რეისი.

მოსკოვი, 24 აპრილი. 2 მაისს ლენინის სახელობის აგრომატარებელი დაიწყებს მეორე რეისს შემდეგი გეზით: მოსკოვი—რიაზანი—ტამბოვი—ვორონეჟი—კურსკი—ორიოლი—ბრიანსკი—მოსკოვი.

პროფკავშირთა დელეგატ ქალების შესახვედრა.

მოსკოვი, 24 აპრილი. ინგლისის პროფკავშირთა დელეგატ ქალების შესახვედრათ სრულიად—რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გაგზავნა რიგაში საგანგებო კომისია.

საბიუჯეტო გეგმა წლის მეორე ნახევრისათვის.

მოსკოვი, 24 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე, რომელიც შესდგა 22 აპრილს, მოსმენილ იქნა ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება 1924—1925 წლის მეორე ნახევრის საბიუჯეტო გეგმის შესახებ. პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა გეგმის საშემოსავლო ნაწილი, შემოსავალთა საერთო ჯამი განისაზღვრება 1,809.355,000 მანეთით, რაც 115,627,000 მანეთით აღემატება ცაკის მესამე სესიის მიერ მიღებულ ციფრებს. საბიუჯეტო გეგმის გასავლის ნაწილის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

გლეხკომების სრულიად რუსეთის ყრილობა

მოსკოვი, 24 აპრილი. გაიხსნა გლეხკომების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა. მისალმებებით გამოვიდნენ: დომბაღი—გლეხთა ინტერნაციონალის სახელით, მასარენტი—იტალიის გლეხობის სახელით, კლარა ცეტკინი—კომინტერნის სახელით და სხვები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

მუშველელი პუნქტი

ფოთი, 24 აპრილი. ფოთში ეწყობა მუშველელი პუნქტი, რისთვისაც მოტორიან ნავზე „წითელ ოქტომბერზე“ ეწყობა მიმღებ-გადამცემი რადიო-სადგური, რომელშიაც დადგმული იქნება ახალი კოსტრუქციის აპარატი. მოწყობილი იქნება რადიოკავშირი შავი ზღვის ყველა ნავთსადგურებთან.

„ბრუნნავთის“ კომისია

ფოთი. 24 აპრილი. დღეს ტუაპსედან ფოთში ჩამოვიდა „ბროზნავთის“ კომისია, რომელიც ამუშავებს საკითხს ბროზნოდან ნავთსადენი მილის გაყვანის შესახებ. კომისიამ დაათვალიერა ნავთსადგური და მას უპირატესობა მიანიჭა ტუაპსეს წინაშე.

აზერბეიჯანი

საბჭოთა დაწესებულებების ფენდა.

ბაქო. 24 აპრილი. აზერბეიჯანის საბჭოთა დაწესებულებების გამწვანდი კომისიის მუშაობის შედეგი ასეთია: ბაქოსა და მის რაიონებში წმენდილი გატარდა 8.658 კაცი, აქედან დათხოვნილია 170.

ფაეტონდენები

ბაქო. 24 აპრილი. აზერბეიჯანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა პროექტი განჯის და გეოქჩაის მაზრებში წყალსადენების გაყვანის შესახებ. განჯის წყალსადენის გაყვანა უნდა დასრულდეს ა. წ. 1 ოქტომბრისათვის.

პარტიული ცხოვრება

იუსტიციის სახალხო კომისარიატის კომუჯრედში

ა. წ. 17 აპრილს შესდგა იუსტკომის კომუჯრედის საერთო კრება, რომელზედაც დღის წესრიგში იდგა კომუჯრედის ბიუროს ანგარიში და ახალი ბიუროს არჩევა. ბიუროს ანგარიშის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბიუროს პას. მგებელი მდივანი ამხ. ს. მეგრელიშვილი, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას ბიუროს მუშაობა-მოღვაწეობა საანგარიშო 4 თვის განმავლობაში.

გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მთავარ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ უკანასკნელ ხანებში თითქმის 90 პროც. გადიდდა უპარტიო მასის მოზიდვა სხდომებზე და მათი დაინტერესება პარტიულ მუშაობით. თუ კი წინეთ ორი სამი უპარტიო ესწრებოდა კომუჯრედის ღია კრებებს, ეხლა უკვე ათეულები ესწრებიან და ყველანი ძლიერ დაინტერესებულნი არიან ამა თუ იმ საკითხით. უპარტიოთა შემოკრებას ხელი შეუწყო იანვარში გახსნილმა კულტკუთხემ, სადაც თითქმის ყოველ კვირაში აჩვენებენ კინო სურათებს რომელსაც დაწესებულების თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები მრავლათ ესწრებიან. გარდა კინოსურათებისა კულტკუთხეში ხშირად იმართება მოხსენებები სხვა და სხვა საკერძოროტო საკითხებზე, რაც მეტად იპყრობს დამსწრე საზოგადოების ყურადღებას. საჭიროა, რომ ასეთი მოხსენებები იმართებოდეს უფრო ხშირად. ამასთანავე ერთად კულტკუთხესთან განზრახულია მოეწყოს პოლიტკოდნის, დრამატიული და სხვა წრეები, მაგრამ სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო ჯერ-ჯერობით ეს ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი.

1924 წლის დეკემბერში იუსტიციის კომისარიატში მოეწყო ახალგაზრდა ლ. კომკავშირის უჯრედი, რომელიც პირველ ხანებში თავის გარშემო იკრებდა მხოლოდ 6 წევრს. ამ ჟამად კი უჯრედი საგრძნობლად გაიზარდა. დღეს უჯრედში ირიცხება 19 წევრი და 10 კანდიდატამდე. კომუჯრედის ბიუროს ყავს სპეციალურათ გამოყოფილი ერთი ამხანაგი, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობს ზემოხსენებული უჯრედი.

სამხედრო ნაწილების კომუჯრედებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად ბიუროს ყავს გამოყოფილი თავისი წარმომადგენელი კავკასიის წითელ დროშოვან არმიის რევტრიბუნალის და საქ. დივიზიის რევტრიბუნალის უჯრედებში. ეს წარმომადგენლები სისტემატიურად ესწრებიან აღნიშნულ უჯრედების სხდომებს.

ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად კომუჯრედის მიერ არჩეულია ამხ. გალდავას ქალი, რომლის მეშვეობით ხშირად იმართება თანამშრომელ ქალთა საერთო კრებები, სადაც უმთავრესად იკითხება მოხსენებები ქალთა მოძრაობის საკითხებზე.

კომუჯრედის ბიუროს მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლათ და უსურვა მომავალ ბიუროს უფრო მეტის ენერგიით განაგრძოს მუშაობა.

დასასრულ მოხდა ბიუროს არჩევა.

პარტკორი № 84.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

წყალსადენის კომკავშირის უჯრედი

მიუხედავათ იმისა, რომ ზემოხსენებულ უჯრედის წევრები გაფანტულნი არიან სხვადასხვა კერძო ქარხანაფაბრიკებში, მუშაობა უჯრედში და მაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

2 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ეს უჯრედი დაარსებულია. უწინ ის თავის გარშემო აერთიანებდა 9 წევრს, ამჟამად კი 36.

დისციპლინის მხრივ უჯრედი პირდაპირ თითით საჩვენებელია. უჯრედის წევრთა შორის ინტრიგას, ჩხუბს, ლოთობას და სხვ. ადგილი არა აქვს.

ჩვენი უჯრედი მიმაგრებულია წყალსადენის კომუჯრედთან №24. კავშირი და ურთიერთობა ზემოხსენებულ უჯრედებს შორის მჟიდროა. კომუჯრედს გამოყოფილი ყავს წარმომადგენელნი, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ა. ლ. კ. კ. უჯრედის მუშაობის გასაცხოველებლად.

რაც შეეხება რაიკომთან კავშირს, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენი უჯრედი ობლადაა მიტოვებული. 6 თვეა უჯრედს არ უნახავს რაიკომის წარმომადგენელი.

ჩვენს უჯრედს კომუჯრედთან ერთად აღებული აქვს შეფობა ს. ხაშმზე და წითელ არმიის ერთ-ერთ ნაწილზე, რომლებსაც საშეფო კომისია უწევს შეძლებისდაგვარად როგორც ნივთიერ, ისე კულტურულ დახმარებას.

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დარგში უჯრედის ბიუროს უაღრესად აქტიური. უჯრედის ბიუროს მიერ დაარსებულია 3 წრე: პოლიტუცოდინარეობის, წერა-კითხვის უცოდინარეობის საღამოკვიდაციო და თვითგანვითარების წრეები. ამხანაგებს გამოწერილი აქვთ გაზ. „სპარტაკი“-ს და „Юн. Прав.“-ს 32 ეკზემპლიარი.

უჯრედის თითქმის ყველა წევრები ჩაბმული არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამუშაოებებშიაც.

ახკორი **თათარხანი.**

კომკავშირის კონფერენცია სენაკში

ახალსენაკი, 24 აპრილი. 23 აპრილს გაიხსნა ახალგ. ლენინურ კომკავშირის მეშვიდე სამხრო კონფერენცია. ესწრება 68 დელეგატიდა 8 წარმომდგენელი პიონერთა ორგანიზაციიდან. პრეზიდიუმ ს საპატიო წევრებად არჩეულნი არიან: რიკოვი, სტალინი, კალინინი, კლარა ცეტკინი, მახარაძე, ორჯონიკიძე, ოკუჯავა, ლომინაძე და ჩაპლინი. დამტკიცებულია შემდეგი დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) ანგარიში საქ. ახალგ. კომკავშირის ცაკის მუშაობის შესახებ, 3) სამხრო კომიტეტის ანგარიში, 4) სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება, 5) მოხსენება საპიონერო-მეურნეობის შესახებ და 6) არჩევნები.

სტატისტიკოსთა მესამე კონფერენცია

მეოთხე სხდომა.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. არ. რუხაძე).

საქართველოს სტატ. ცენტრალური სამმართველო სამი წლის განმავლობაში გამდიდრდა ისეთი მასალებით, რომელიც საკმაოდ ნათლად აუწყებს რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას. სტატ. ცენ. სამმართველოს მუშაობის ნაყოფიერებას ცხადათ მოწმობს მთავარი აღწერა, რომელიც ჩატარებული იქნა შედარებით მოკლე დროში.

1922 წლიდან 1924 წლამდე ჩატარდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის აღწერა, საკავშირო-სამრეწველო აღწერა და სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

აღწერებით მიღებული მასალები მუშავდებოდა 1924 წლის განმავლობაში. დამუშავებულ მასალების ნაწილი გამოქვეყნებულია და ნაწილიც მზადდება გამოსაქვეყნებლად.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სტატ. ცენტ. სამმართველოს კონსტრუქციას, საქართველოს ავტონომიურ რეპუბლიკებში (აჭარისტანსა, აფხაზეთსა და სამხრეთოსეთში) მუშაობენ სტატისტიკური სამმართველოები. მაზრებში სამმართველოს აქვს თავისი ორგანოები—16 სტატბიურო და ერთი ქალაქის სტატბიურო (ფოთში).

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო დარში ნაყოფიერ მუშაობას აბრკოლებდა ის გარემოება, რომ ადგილობრივი სტატბიუროები იყენენ სამაზრო აღმასკომების ხარჯზე და მათი ბუმაობის ნაყოფიერება დამოკიდებული იყო აღმასკომის ფინანსიურ შესაძლებლობაზე. ამ მიზეზის გამო ყველა სტატბიურო ერთგვარ პირობებში არ ყოფილა. ზოგი სტატბიურო წარმატებით მუშაობდა, ზოგი კი (მაგ. რაჭის) სრულიად ცნობებს არ იძლეოდა. სტატბიუროს მუშაობას აბრკოლებდა აგრეთვე სუბიექტიური მოტივებიც.

1924 წლიდან სამაზრო სტატბიუროები გადაყვანილ იქნენ სახელმწიფო ბიუჯეტზე გადიდებულ იქნა აგრეთვე სტატბიუროს გამგეთა ჯამაგირები 19 მანეთიდან 75 მანეთამდე.

სახელმწიფო სტატისტიკის სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს მოხალისე კორესპონდენტების ქსელის სათანადო მოეწყობლობა შემდეგ მომხსენებელი ჩამოსთვლის სტატ. ცენტრ. სამმართველოს მიმდინარე სამუშაოებს.

ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის დარგში დამუშავებული იქნა 3 წლის მასალები, რომ ელიც მოკლე ხანში გამოქვეყნ დებიან.

სახალხო ჯანმრთელობ ის სტატისტიკის დარგში 1923 წლიდან, საკურნალო, დაწესებულებებში შემოღებულ იქნა დაავადმყოფების აღრიცვის საბარათო სისტემა.

სახალხო განათლების სტატისტიკის დარგში სამმართველო კრებდა და სისტემაში მოჰყავდა მასალები, რომელნიც შუქს ჰფენდენ სახალხო განათლების დღ ევანდელ მდგომარეობას.

ძირითად სამუშაოთაგან სწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო აღწერით მიღებული მასალის დამუშავება.

სტ. ცენტ. სამმარ თველოს მეორე ამოცანას შეადგენდა სასოფლო მეურნეობის ცალკე დარგების სტატისტიკო-ეკონომიურ გამოკვლევები. გასულ საანგარიშო პერიოდში მოხერხდა მხოლოდ მევენახეობის მდგ.მარეობის გამოკვლევა. გაზაფხულზე და შემოდგომით სწარმოებდა სასოფლო-მეურნეობის მმდინარე აღწერა (ნათესების მდგომარეობის და მოსავლიანობის გამოსარკვევად).

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა აგრეთვე მოსახლეობის კვების გამოკვლევა, რომელიც შეეხო საქართველოს მთავარ ქალაქებს.

შემდეგ მომხსენებელი მოკლე მიმოხილვას უკეთებს სამმართველ ოს მუშაობას სამრეწველო, სატარანპორტო, საკავშრო-საფინანსო, და შრომის სტატისტიკის დარგებში.

დასასრულ, მომხსენებელი მოკ ლედ ეხება სახელმწ. სტატისტიკის უახლოეს ამოცანებს.

აფხაზეთის სტატ. სამმართველ ოს მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. უსოვი)

აფხაზეთის სტატსამმართველოს მმართველის ამხ. უსოვის მოხსენებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის სტატსამმართველო მეტად მოუწყობელი ყოფილა: არ ჰქონია საჭირო დგამი საჭირო ხელსაწყო და სხვ. პირველადი დაკვირვების ორგანიზაციებთან სამმართველო მთლად მოწყვეტილი ყოფილა, არც მოხალისე კორესპონდენტები ჰყოლია და არც საექსპერტო კომისიები ყოფილა ჩამოყალიბებული. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამმართველო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არ არსებობდა. მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. სამმართველოს მუშაობას ხელს უშლის მომხსენებელის აზრით ის გარემოება, რომ მოელი ძირითადი მასალა აფხაზეთის ცხოვრების შესასწავლად მას არა აქვს სამმართველოში. გარდა ამისა მომხსენებელი მოითხოვს, რომ ყველა სტატისტიკურ მასალა აბხაზეთისა გადაეცეს მას დასამუშავებლად, უმისოთ კი მხოლოდ საქართველოს ც. ს. ს. დავალებების აღმასრულებელი როლი ერგება აფხაზეთის სტატსამმართველოს. სამმართველო ჯერ ისევ საორგანიზაციო ხანაშია და მომხსენებელის აზრით,—ეს ორ თვეს გასტანს. ვერც შტატით ყოფილა უზრუნველყოფილი, მეტადრე კვალიფიციურ მომუშავეთა მხრით. მომხსენებელს იმედი აქვს, რომ მომავალ კონფერენციაზე უფრო ვრცელი მოხსენებით გამოვა საქართველოს შესახებ.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მესამე ყრილობა

მესამე სხდომა

სხდომა იხსნება საღამოს 6 საათზე ამხ. **მალაშხიას** თავმჯდომარეობით.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის მოღვაწეობა

სატარიფო-ეკონომიური მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. მილციონი)

სექცია თავის სატარიფო-ეკონომიურ მუშაობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს შ რომის კომისარიატის და პროფსაბჭოს მიერ მიღებულ დებულებებით. უნდა ითქვას, რომ ეს დებულებები ვერ იყო სათანადოთ დამუშავებული.

მიუხედავათ ამისა, სექციამ შესძლო ტარიფების გამომუშავება და ის ყოველ ღონეს ხმარობდა მათ ცხოვრებაში გასატარებლად.

სექციამ მოახერხა გაეტარებია შრომის ხელფასის მინიმუმი 12 მანეთის რაოდენობით—შეფარდებით 1: 8. ძნელი იყო სატარიფო მუშაობა დამუშავ ების ნორმების უქონლობის გამო. სწარმოებდა მუშაობა მათ გამოსამუშავებლათ და სექციის ახალ შემადგენლობას მოუხდება ამ მუშაობის დამთავრება.

რაც შეეხება ხელფასის რაოდენობას, უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასის მხრივ ცენტრში საქმე სათანადო დონეზეა დაყენებული, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებებში ხელფასი მცირეა. გაცილებით უფრო მცირეა ხელფასი პროვინციაში.

კულტურული მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. კუზმინა)

მნიშვნელოვან მიღწევათ კულტმუშაობის დარგში უნდა ჩაითვალოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კლუბის დაარსება, რომელთანაც მოეწყო სხვადასხვა კუთხეები და წრეები. კლუბთან არსებობს ბიბლიოთეკა, სადაც ჯერჯერობით 500 წიგნია. ბიბლიოთეკას ყავს 130 ხელისმოწერი, ე. ი. სექციის წევრთა მთელი რაოდენობის ერთი მეოთხედი, რაც დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ბიბლიოთეკა არსებობს მხოლოდ 2—3 თვე.

კლუბთან არსებულ წრეებში მეცადინეობს სექციის 177 წევრი.

დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მუშაობას მუშკორთა შორის. ამჟამად თბილისში და თბილისის მაზრაში აღრიცხვაზე აყვანილია 616 მუშკორი და გლეხკორი, მათ შორის 35 პროც. პარტიის წევრებია.

რაც შეეხება მუშკორთა დევნას, უნდა ითქვას, რომ ბრძოლა ამ მოვლენასთან ძნელია, რადგან დევნა სწარმოებს ფარულად, ფრთხილად. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა მუშკორთა დევნას, დამნაშავენი პასუხისგებაში იყენენ მიცემული. ასეთი შემთხვევა იყო 40.

აღსანიშნავია, რომ დღემდე მოისუსტებს კავშირი მუშკორებსა და გლეხკორებს შორის. მუშკორთა და გლეხკორთა სრულიად საქართველოს ყრილობის შემდეგ ამ მოვლენას ბოლო მოეღება.

შრომის დაცვა.

(მომხსენებელი ამხ. მალაშხია).

სექციის უმთავრეს მიღწევად შრომის დაცვის დარგში უნდა ჩაითვალოს სექციაში გაერთიანებულ წარმოებათა მუშა-მოსამსახურეების შრომის პირობების გამოკვლევა, რომელიც მოახდინა გაერთიანებულ ადგილკომთან დაარსებულმა კომისიამ.

გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ შრომის პირობები მრავალ დაწესებულებებში არაა დამაკმაყოფილებელი. მიღებული ზომებით ეს დეფექტები გამოსწორებული იქნა.

შემდეგ ყურადღება ჰქონდა მიქცეული ჩვენი სექციის წევრების საბინაო პირობების გაუმჯობესებას და კოლექ. ხელშეკ. დაცვას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ გასულ საზამთრო სეზონში კურორტებზე გაიგზავნა სამი ამხანაგი.

მუშათა ცხოვრება

ბოროტ-მოქმედებას ბოლო უნდა მოეღოს

(პროკურატურისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ).

თბილისის დეპოზი მსახურობს თეთრგვარდიელი **ლევან კირაკოზოვი,** რომელიც რაღაც საშუალებით „შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის“ მდივნად მოეწყო. კირაკოზოვმა ნათლიმამობის საშუალებით მოახერხა 3 თანრიგის მომატება, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. ის ძველი ჩინოვნიკია და მას ყოველნაირი ეშმაკობა ემარჯვება. მაგ. მას აუღია 9 თვის განმავლობაში **218 მან. 87 კაპ.,** რომელიც მას არ ეკუთვნოდა, კიდევ აუღია 5 თვის განმავლობაში ზედმეტი საათების **87 მან. 10 კაპ.,** ესეც არ ეკუთვნოდა, რადგანაც არ უმუშავნია. (ამის დამამტკიცებელი საბუთი ხელთა გვაქვს).

შეიძლება კიდევ ჰქონდეს მოქალაქე კირაკოზოვს ასეთი მორიგი ბოროტ-მოქმედება ჩადენილი. თუ კირაკოზოვისთანა წურბელები ასე ფლანგავენ მუშების ფულს, აშკარაა, რომ მაშინ საქმე წინ ვერ წაიწევს.

პროკურატურაგ და მუშათა და გლეხთა ინსპექციაგ, მიაქციე ამ საქმეს ყურადღება.

აგრეთვე აღსანიშნავია შემდეგი: მოქ. კირაკოზოვს საქმის წარმოება არ მიჰყავს ქართულ ენაზე, თუმცა ამას საჭიროება მოითხოვს.

მემანქანე **დ. ღანელი.**

ჩვენი ნივთიერი მდგომარეობა ძალიან მძიმეა

(მიწა-ტყის კავშირის საყურადღებოდ)

საქართველოს ტყის მუშა-მოსამსახურეების ნივთიერი მდგომარეობა ძალზე აუტანელია. სამკუთა რესპუბლიკებში, მგონი, არ მოიპოვება არც ერთ დაწესებულებაში ისეთი მუშამოსამსახურე, რომელსაც არ ჰქონდეს განაზღვრული მუშაობის დრო. ტყის მუშაკებისთვის კი ასეთი დრო ჯერ არ არსებობს.

მათთვინ გაერთიანებულია საქმის და უქმე დღეები. ამას კიდევ არა უშავს რა, რომ განსაზღვრულ საათებში იყოს მუშაობა. ტყის მცველი დილიდან დაღამებამდის იძულებული ხდება დაჰყოს ტყეში და ზოგჯერ ღამის თევაც კი უწევს იქ; და ამისთანა მდგომარეობაში მყოფ მუშებს არაგინ ყურადღებას არ აქცევს. მათი შრომის ხელფასი ძალზე მცირეა.

დროა ჩვენი მდგომარეობაც გაუმჯობესდეს.

ტყის მუშაკი.

მოუღეთ ბოლო მუშების უფულო ექსპლოატაციას

(მეტყევეთა კავშირის საყურადღებოდ).

გრაფის ქუჩაზე ფეხსაცმელების სახელოსნოების მომუშავეების რიცხვი უდრის 17—18 კაცს. ამ მუშებს არა აქვთ განსაზღვრული დრო მუშაობის. მათ უხდებათ ღამის—12—1 საათამდე მუშაობა. ხსენებული სახელოსნოები არის მიუვალ ალაგას. აქ მილიციონერი იშვიათად თუ გამოთვლის ხოლმე. ამით „ხაზინეები“ სარგებლობენ და ამნაირად ეწევიან მუშების ექსპლოატაციას.

ამას გარდა, ჩვენ, მუშები, ვერ ვღებულობთ კუთვნილ ჯამაგირს თვის დროზე. მაგ. სახ. № 12 მომუშავეს ამხ. ფ. ჯიბლაძეს ჯერაც არ აქვს მიღებული 8—9 თვის კუთვნილი ჯამაგირი; ასევე ექცევიან აღნიშნულ სახელოსნოების მუშებს სხვა ხაზინეები. ამ უბნის მთელ რიგ სახელოსნოების მომუშავეების უმრავლესობა არის კავშირის გაწევდარჩენილი და საჭიროა მოგვაქციოს კავშირმა ჯეროვანი ყურადღება.

ადგილობრივი მომუშავე

ვ. ლეკიშვილი.

ამათაც მიეცით სპეც-ტანისამოსი

(შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ).

რკინისგზის ორთქლმავალების ამწყობთა საამქროში ზოგიერთ მუშებს დაურიგდათ სპეც-ტანისამოსი, ზოგიერთებისთვის კი არ დაურიგებიათ ასეთები.

საკვირა ვიცოდეთ, თუ რით ხელმძღვანელობდა შრომის დაცვის კომისია, როდესაც ჭუჭყიან სამუშაოზე მომუშავეები მას გამორჩა ტანისამოსის დარიგების დროს.

საიარაღო სამქროს მუშებს და ზეინკლებს თუ ეკუთვნის სპეც-ტანისამოსი, ნუ თუ არ ეკუთვნის ასეთი სპილენძის გადამდუღებელ და ჩამომსხმელ მუშებს, როდესაც მათ ტანისამოსი ეწვით ცეცხლისა და ჭუჭყისაგან.

მუშა **ღამურა.**

საბჭოთა სისუფთავის დაცვა

(სანიტკომისიისადგილობრივ ბიუროებს).

მოქ. იანგელ შეხვ მორ სახლის ეზოში, რომ ორგანიზ ბელიც მგ ბ პირველი მთის ტრეის ქირის გასა № -ში, საშინელი უ მუშაობა ფოთაობ რასაც აუცილებლ დგენელ ავადმ ყველა. საჭიროა ხადგური ამას ყ მიექცეს. X.

ქრონიკა

— **კვირას აბანოები მუშაობენ.** ხვალ ყველა გოგირდის აბანო მუშაობს. მთელი წმოსავალი მოხმარდება ადაზოთა მუშა-მოსამსახურეებში კულტუშუაობის საქმეს.

— **ხე-ტყის გასატან** მდინარეების კალაპოტის გასაწმენდათ მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ შეადგინა გეგმა.

— **საქ. სახ. საგეგმო კომისიამ** საჭიროდ სცნო საქართველოში ღვინისა და სპირტეულობის გასაღების საქმე მიენდოს ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებას.

— **საქ. მ.-გ. ინსპექციამ** გადასწყვიტა მჭიდრო კავშირი იქონიოს მუშკორებთან და გლეხკორებთან.

— **ტყის გამგეების დანიშვნა.** საქ. მ.-გ. ინსპექციამ ნება დართო სატყეო განყოფილებას სამაზრო აღმასკომებისგან დამოუკიდებლათ დანიშნოს ტყის გამგეები და მათი თანაშემწენი.

— **შრომის პირობების გამოკვლევა.** შრ. სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება ამჟამად აწარმოებს ტყავის წარმოებებში შრომის პირობების გამოკვლევას.

— **ხელსაწყოების შეძენა.** შრომის სახ. კომისარიატს განზრახავა აქვს საზღვარ გარეთიდან გამოიწეროს პროფსნეულებათა გამომრკვევლაბორატორიისთვის საჭირო ხელსაწყოები.

— **მუშათა საბინაო** ამშენებლობის დამხმარე კომიტეტმა დაამტკიცა ადგილობრივ დამხმარე კომიტეტების ინსტრუქცია და დაუგზავნა მაზრებს.

— **საქართველოში ჩაის მეურნეობის** გასაუმჯობესებლათ ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამ ერთი წლის განმავლობაში გასცა სესხად 278 ათასი მანეთი.

— **ფულადი დახმარება უმუშევრებს.** 20 აპრილს უმუშევართა დამხმარეგი განყოფილება გასცემს აპრილის თვის დახმარებას იმ უმუშევრებზე, რომელთაც აქვთ წიგნაკი № 2301-ზე ზევით.

შემოხვევები

— **დაჭრა.** 23 აპრილს, როსტოვის ქ. № 10, სახლის წინ ილიკო ვაბიქვრიშვილმა დასჭრა დანით თავისი ცოლი სოფიო. დაჭრილი გადგაზანეული იქნა საავადმყოფოში. მკვლელი დაპატიმრებულია.

— 23 აპრილს, საღამოს 8 საათზე იურიევის ქ. ვასილ ახალაციშვილმა დასჭრა დანით მუცელში თავისი ცოლი ალექსანდრა გარლევა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **თავის მოკვლა.** 23 აპრილს, დამით ქალაქის მთავარ სანერგეს ეზოში გამგის ბინაზე თავი მოიკლა სანადირო თოფით მარიან დმიტრაძისამ.

— **გაძარცვა.** ერეზოს სამილიციო რაიონიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივ „ტყემლიან გორაზე“ გაძარცული იქნენ თბილისიდან მომავალნი სოფიო დოლიაშვილი, გიორგი ბურჭულური და სოსო ფოდალაშვილი, რომლებისთვისაც ეზოურთმევათ ნავაჭრი საქონელი.

— **ქურდების შეპყრობა.** 23 აპრილს, დილით ბნის მოედანზე გაჭურდული იქნა ვასილ ბაბაჯანოვი. მიღებულ ზომებით ბოროტ-მომქმედი შეპყრობილი იქნა. ის აღმოჩნდა აკოფ არტაზოვი.

— მე-10 მილიციის თანამშრომლებმა დაპატიმრეს არჩილ მჭედლიძე, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები ზაალ ბერეზა გოგოლეფის ქ. № 22 ელისაბედ ჩომლიშვილის ბინიდან.

— **ქურდობა.** 23 აპრილს, დღისით კორლანოვის ქ. № 16, ელისაბედ ნიქელაძის დერეფანიდან მოპარული იქნა საოჯახო ნივთები.

— **საზამთრო სპეცტანისამოსის** ტარების დრო შრომის სახ. კომისარიატმა დანიშნა 15 ნოემბრიდან 1 აპრილამდე.

— **შრომის ნაყოფიერება.** მარტის განმავლობაში ავეჯლის წყალსადენის მუშების შრომის ნაყოფიერება თებერვალთან შედარებით გაიზარდა 23 პროც.

— **ელექტრონით სარგებლობა.** აპრილისათვის ტფილისში ითვლებოდა 9385 ელექტრონის ძალის მომხმარებელი (აბონენტი).

— **თბ. დამზღვევ სალაროს** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემოუვიდა 1,238,940 მ. 24 კ.

— **საექიმო დახმარება.** 1924 წ. 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 აპრილამდე თბ. დამზღვევემა სალარომ თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას საექიმო დახმარებისთვის გადასცა 309,665 მან.

— **თბილისის ურუ-მუნჯთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოება.** კვირას, აპრილის 26, დღის 12 საათზე, დანიშნულია ყრუთა და ყრუმუნჯთა საზოგადო კრება (მუშათა ცენტრალური კლუბი, ზემო დარაბაზი). საჭიროა კრებაზე ყველა ყრუმუნჯი შოვიდეს.

ხელოვნება

— **სახელმწიფო ოპერის თეატრში** დღეს გაიმართება ლ. სობინოვის გასტროლი. მიდის „დუბროვსკი“.

— **ოპერის სეზონის დახურვა.** 30 აპრილს დაიხურება ოპერის სეზონი. უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება „ბოგემა“ ნინა ვალაცეის მონაწილეობით.

— **სახალხო კომისარიატების კულტ-კუთხეში** (სპპიორის ქ. № 30) დღეს გაიმართება წარმოდგენა-კონცერტი მუშა-მოსამსახურეთათვის.

დღეს კინოებში

— ა პ ო ლ ო—„ორი ობოლი“.
— ა რ ფ ა ს ტ ო—„იქ სადაც ვაჭრობენ სულითა და ხორცით“.
— ს ო ლ ე ი—„როზიტა“.
— მ ი ნ ი ო ნ—„უბილეთო მგზავრი“.
— პ ა ლ ა ს ი—„რაფეს ქალწვილი“.
— თ ვ ი თ მ ფ რ ი ნ ა ვ ი—„ურავალი“.
— ო ა ზ ი ს—„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ

ახალ აბაშის თემი

(სენაკის მაზრის სამხედრო კომისარიატის ინფორმაციისა).

გლეხკომის მუშაობა ა. წ. მარტის თვის.

ახალ-აბაშის თემის გლეხკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. დაბა აბაშაში სასადილოს და ფურნეს გარდა აპირებს ამ ახლო მომავალში კრამიტის ქარხნის გახსნას. გლეხკომმა გამოუწერა თემის 12 სამკითხველოს გაწ. „ახალი სოფელი“. იქ, სადაც სამკითხველო არ არსებობს, დავალებული აქვს ადგილობრივ სოფლის გლეხკომის წევრს წაუკითხოს გლეხობას გაზეთი.

ღარიბ გლეხს ბათუ გვაზავას დაეწვა სახლი და გლეხკომმა მისცა 60 ფ. სიმინდი და ფულით დახმარება გაუწია.

გრიგოლ ცომაიას ქვრივს დაეწვა სახლი. გლეხკომმა მას სახლი უყიდა.

ამ გლეხკომმა ... ღარიბებს ეხმარება წამლების ყიდვით, ტანისამოსით და ღარიბ გლეხებს სიკვდილის შემთხვევებში კუბოების ყიდვით და სხვა.

აგრეთვე სისტემატიურ სიმინდით დახმარებას ღებულობს 74 ღარიბი გლეხი.

ამას გარდა გლეხკომი აწარმოებს სიმინდის აპერაციას. მან დაამზადა რამოდენიმე ვაგონი სიმინდი და კიდევ გადაგზავნა სადაც ჯერს არს. ამ გლეხკომს სულ წევრები ჰყავს 600-დე და სწარმოებს ახლების ჩ

პარტიული და საბჭოთა ცალენდარი

პარტიული

არსრაიკომი იუწყება: დღეს, 25 აპრილს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება არსრაიკომის აგიტ.-პროპ. ორგანიზატორთა კრება.

ყველას დასწრება თავის დროზე სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ—მ ე ლ ა ძ ე.

ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება: დღეს, 25 აპრილს, საღამოს 5 ნახევარ საათზე, რაიკომის ბიუროს შესდგება ქალთა ორგანიზატორეს თათბირი.

დასწრება სავალდებულოა ქალთა ყველა ორგანიზატორებისთვის.

შაბათს 25 აპრილს, სრულ 1 საათზე, ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების ბინაზე დანიშნულია ორგანიზატორ ქალთა თათბირი, დღის წესრიგში: 1. მაისის დღესასწაული, 2. მიმდინარე კითხვები. ორგანიზატორებს გთხოვთ დროზე გამძღარადდეთ.

თბილისის ფ. კ. ს. აცნობებს ყველა რაიონულ წრეების ფიზკორგებს, რომ კვირას, 26 აპრილს საღამოს 6 საათზე (ყოფილ სამხედრო სიბჭოროს შენობაში რუსთაველის პრ. № 2 დანიშნულია ფიზკორების საერთო კრება.

დღის წესრიგში დგანან საყურადღებო საკითხები.

დასწრება ყველა ფიზკორებისთვის სავალდებულოა—დაუგვიანებლათ.

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი აცნობებს ს. ა. ლ. კ. კ. ყველა წარმომადგენლებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში, ადგილკომებში, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში და საწარმოო თათბირებში, რომ ოთხშაბათს, 29 აპრილს, საღამოს 5 საათზე, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მეორე დარბაზში შესდგება საქალაქო კრება ს. ა. ლ. კ. კ. წარმომადგენლებისა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში, ადგილკომებში, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში და საწარმოო თათბირებში შემდეგი დღის წესრიგით:

1. ლონისძიებების მიღება ახალგაზრდათა შრომის ნაყოფიერების გასაადიდებლათ.
2. კამპანიის დაწყება მოუაფთა ხარისხების გადიდებისათვის.
3. სხვადასხვა.

ყველა ზემოაღნიშნულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ სხვა კრებები ამ დღეს არ შესდგება.

ს. ა. ლ. კ. კ თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ გ ო ბ ე ჩ ი ა.
თბილისის კომიტეტის ეკონომ. განყოფ. გამგე ა კ ო პ ო ვ ი.

ვინ არის წინააღმდეგი.

ქალაქის რაიკომი იუწყება: დღეს, 25 აპრილს, საღამოს 5 საათზე და ხვალ, 26 აპრილს, დილის 10 საათზე, რაიკომის შენობაში მოხდება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა პარტიაში მისაღებ და წესერთგან გადასარიცხ ამხანაგების შესახებ.

ვისაც რაიმე ცნობანი მოეპოვება ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგების შესახებ, ვთხოვთ აუწყონ რაიკომში წერილობით.

დღეს, 5 საათზე გამოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

უჯრედი № 48 ჭართ. მუშაკა: ჩიგოგიძე აკაკი, ბაკაშვილი სერგო, თოგანიძე ალ., მალაშურიძე ნიკო, სარალიძე გიორგი, სახუაძე ივანე, გოგიშვილი ლადო, ეკიდაშვილი ლუკა, ფარემუზაშვილი მოსე, ჯანუაშვილი გიორგი, ბუბუთაშვილი ვარლამ, ვიგაშვილი ილია, შენგელია ვიქტორ, კონტრიძე გიორგი, ლოლობერიძე კაპიტონ, მახარაძე დავით, მხეიძე მიხეილ, არსალიანი პაველ, ბურეზაშვილი ტიგრან, გეგენავა ალ., ნოხაძე ნიკ. მგელაძე შალვა, ალიბეგაშვილი ივანე, კოპალეიშვილი ვარლამ, დონაძე ათანეს, ხარიძე ლევან, ხუციშვილი გიორგი, ნ მგელაური დავით, ვილასონია დავით' წულაია ბართლომე' წერედიანი ბესარიონ ბეგ, წერედიანი ბესარიონ ომან, ოქუაშვილი ეკატერინე, ყიფიანი ნესან, თაკაიური ირიდიონ, ფოცხიშვილი სონია, მეთონიძე აკაკი, კაპანაძე უშანგი, დარბაძე მელენტი, გიორგობიანი რომან, ქავთარაძე ბენია, გვეტაძე ილია, ვარაძე ნესტორ, დოლიძე იოსებ, გალდავა ლავრენტი, კაკაბაძე ალ., კვლიშვილი კოსტა, არბელაძე იუდონ, თურაშვილი გიორგი, კაპანაძე პაველ, ჯაბაშვილი აბრამ, მაძანაშვილი ნინა, ტარალაშვილი გიორგი, ბიქელაძე ვასილ, ჭარქოტაშვილი არტემ, მესხი ნინა, კერკაულიძე არხიპ, გიორგაძე შალვა, ჩიტიაშვილი ვლ., ხუციბერიძე გალაქტ იონ, ოჩანეხოვ ალ., ნაზარეთიშვილი მარო, მაღლაკელიძე ნიკო, ფორფაშვილი მელიტონ, ყაზიშვილი გიორგი, გოჩჩაძე ვარლამ

უჯრედი № 20. ოფ. მუშაკი: მეხეევი ანნა, კაკულია მიხეილ, სელეგანოვი პეტრე, სეირსეი ანტონ, კოზირევი ბაფა, იუზეფოვიჩ იგნატი, სელეგანოვა სოფიო, ეზოლინ ვოლფმერ, მაზილკოვი დიმიტრი, კრუპკიან მამიკონ, კოლოტაძე ვასილ, კარაპეტიან არ., ჩარიკიდი გეროკლი, კარაპეტიან ვაგრამ, მატინ მიხ., როდოვიჩ ანტონინა, კაზბერუკ მიხ., პარამონოვ კუზმა, პეტროსიან სარკის, ალოფიან დერენიკ, გრიგორიან გეეორკ, თამთეოსიან თამეეოს, გურკალოვ ივან, საააკოვ თამეოს, ფალშინ პეტრე, ხარაჯიევ კოსტა, კაბალოვ ივან, კარაგეზიან მარტიროს, კაშიანან ივან.

უჯრედი № 18. ა. | კ. უნივერსიტეტი. ეფემდიევ ისმაილ, ძიძიგური ლავრენტი, ლალიან არმენაკ, ალაევ აბდულ-ახიბ, ანდრიეშინ ვასილ, ოქროპირიძე მეგდოდ, ბოკუჩავა ვლ., სულთანოვ პარხალი, სიდოროვ გიორგი, ასდანიან ჰაიკ, ابრამოვ მარია, მაკსიმოვ ჯალილ, ბარამიძე სერგო, ივანოვ კლიმენტი, კოსტეშოვ კადიმ, სტეპანოვა ნინა, ხიფაროვი ეკატ., მარგველაშვილი ვლ., გეხვინოვ გუსეინ, სოლომონია ილია, ბარამიძე ვენიამინ, დავიდოვ კონსტ., ტყეშელაშვილი შალვა, ტერ-პეტროსიან ვაჩაგან, ბაგრადან გრიგოლ, გრიგორიან არმენაკ.

უჯრედი № 21. საქარხნო-საფაბ. შეგირდ. სკოლა. ნაცვალოვ იოსებ ოფიცერნო პეტრე, ავაქოვი ალექსი, როდესტვენსკი არსენ, მუბოიაჯიან არტემ, ინჩაგოვ ... ალექსანდრ, ... ალექსანდრ, ... ალექსანდრ,